სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
40108050078924

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240263603

რეგისტრაციის თარიღი

04.03.2024 წ

ნოტარიუსი ია ყიფიანი: ია ყიფიანი
მისამართი: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი # 68
ტელეფონი: 570506164

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაოთხი წლის ოთხ მარტს მე, **ციური ბერიძეს**, ნოტარიუს **ია ყიფიანის** შემცვლელ პირს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი # 68-ში მომმართა: ბატონმა **ივანე ბარბაქაძემ** (დაბ. 31.12.1983 წელს, პ/ნ 01017021602, რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ვლადიმერ გაბაშვილის ქუჩა, N 5, ბინა 16).

მან წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს **„იბეროტელი"**-ს (ს/კ 404438113) შესახებ, მომზადების თარიღი 18/02/2020 11:02:30 წელს, რეგისტრაციის # B20016244 და განაცხადა, რომ როგორც ამ საზოგადოების დირექტორსა და წარმომადგენლობით უფლებამოსილ პირს, სურს შეადგინოს მინდობილობა რითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს **რევაზ ტყემალაძეს** (დაბ. 09.08.1977 წელს, პ/ნ 01024004230, რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ადამ მიცკევიჩის ქუჩა, N 34, ბინა 20). მისი პირადობა დადგენილია. მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, მინდობილობის და შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მან წაიკითხა მინდობილობა, მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდგომ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცდაოთხი წლის ოთხ მარტს, ბატონმა **ივანე ბარბაქაძემ** (დაბ. 31.12.1983 წელს, პ/ნ 01017021602, რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ვლადიმერ გაბაშვილის ქუჩა, N 5, ბინა 16), როგორც შპს **„იბეროტელი"**-ს (ს/კ 404438113) დირექტორმა -შემდეგში „მიმნდობი პირი" სრული უფლებამოსილება მიანიჭა **რევაზ ტყემალაძეს** (დაბ. 09.08.1977 წელს, პ/ნ 01024004230, რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ადამ მიცკევიჩის ქუჩა, N 34, ბინა 20) -შემდეგში „მინდობილი პირი"

წინადებარე მინდობილობით „მინდობილი" უფლებამოსილია „მიმნდობის" სახელით შპს „იბეროტელი"-ის (ს/კ 404438113) კუთვნილი უძრავი ქონების (მდებარე ქალაქი თვილისი, დაბა წყნეთის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორია, ს/კ 01.20.01.109.120) საკითხთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მის სამსახურებში, მათ შორის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტეის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ქალაქის სატრანსპორტო სამსახურში, სსიპ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური აღრიცხვის არქივში, აწარმოოს საქმეები და ნებისმიერი დაკუმენტაცია, მათ შორის მოახდინოს პროექტის შეთანხმება, პროექტის კორექტირება, მიიღოს ნებართვა, მოახდინოს ნებართვის განახლება, აგდ-ში ცვლილება, აზომვა, ახალი საკადასტროს გეგმის მომზადება, ხარვეზების შესწორება, პროექტების შეთანხმებისთვის და მშენებლობის ნებართვის მისაღებად შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, ატვირთოს მერიის ელექტრონულ საიტზე არსებული დოკუმენტაცია, აწარმოოს მოლაპარაკებები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, მათ შორის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოში, ამასთან დაკავშირებით შეაგროვის ყველა სახის დოკუმენტაცია (ცნობები, გადაწყვეტილებები, პროექტები, შეთანხმებები, ნებართვები), მიიღოს და წარადგინოს ისინი, კომპანიის სახელით შეიტანოს განცხადებები, მიიღოს ინფორმაცია, მიიღოს გადაწყვეტილებები, ხელი მოაწეროს დოკუმენტებს, შეასრულოს ყველა აუცილებელი მოქმედება და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს, რაც ამ დავალებების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული.

მინდობილობა გაცემულია 2025 წლის 04 მარტის ჩათვლით მოქმედების ვადით. უძრავი ქონების გაყიდვის, იპოთეკით დატვირთვის ან სხვაგვარად განკარგვის უფლების გარეშე.

მინდობილობა ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი მიეცა ხელზე მარწმუნებელს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.12.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 30 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე -5 ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. –5.40 ლარი, ჯამში: 40.40 ლარი

ივანე ბარბაქაძე

ნოტარიუს ია ყიფიანის
შემცვლელი პირი

ციური ბერიძე